

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 581

კონკურსი №760

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 30 05 2013 წ.

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. №10
(შემდგომში „შემსყიდველი“)

და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „A&D Studio“ ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 44
(შემდგომში „მიმწოდებელი“)

შორის მიღწეულ იქნა ურთერთშეთანხმება შემდეგზე:

შემსყიდველმა გამოაცხადა კონკურსი სოფელ გულაურში განთავსებული პოლიციის ადმინისტრაციული შენობის საუკეთესო ესკიზური პროექტის შესყიდვაზე.
(მომსახურების მოკლე აღწერა)

რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადების თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება.

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება: 2000.00 (ორიათასი) ლარი;
(მოუთხოვთ ხელშეკრულების თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)
(შემდგომში “ხელშეკრულების ფასი“)

წინამდებარე ხელშეკრულება აღასტურებს შემდეგს:

1. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და ითვლებიან მის განუყოფელ ნაწილად, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადებაზე თანდართული ყველა დოკუმენტი;

გ) ტექნიკური პირობები;

დ) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

2. ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში დაფიქსირებული ყველა მონაცემი, პარამეტრი, ვადები, ტექნიკური და სხვა პირობები, მხარეთა პასუხისმგებლობის ფორმები და სხვა წარმოადგენენ ხელშეკრულების პირობებს.

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი ორგანიზაცია:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

მიმწოდებელი ორგანიზაცია:

შ.პ.ს. "A&D Studio"
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს "საქართველოს ბანკი"-ს
ბანკი კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE84 BG00 0000 0297 7763 00
ს/კ: 404 979 029


საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის
დირექტორის მოადგილე

შ.პ.ს. "A&D Studio"-ს
დირექტორი

ოთარ დანელია



მაია აღაშია



ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მის ქ. თბილისი, გ.გულუას ქ. №10
(შემდგომში "შემსყიდველი")

მორეს მხრივ, შ.პ.ს. "A&D Studio" ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 44
(შემდგომში "მიმწოდებელი")

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: სოფელ გუდაურში განთავსებული პოლიციის ადმინისტრაციული შენობის საუკეთესო ესკიზური პროექტის შესყიდვა

ხელშეკრულების ჯამური ღირებულება: 2000.00 (ორიათასი) ლარი;

ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

კონტროლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით განახორციელებს სპეციალური ჯგუფი (ინსპექტირების ჯგუფი) შემოწმდება რამდენად დაცულია ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ; ფაქტიურად მომსახურების ვადა, ფორმა და ხარისხი.

ინსპექტირების ჯგუფი:

1. შსს შენობა-ნაგებობების სარემონტო სამუშაოების ორგანიზებისა და ტექნიკური ზედამხედველობის სამსახურის უფროსი ვახტანგ ღვინიაშვილი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ;

4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტების ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი;

4.3. დამკვეთი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნლების მიზეზების მითითებით;

5. მომსახურების გაწევის პირობები და ვადები

5.1. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ალბომის სახით ნაბეჭდი ვერსია და CD ვერსია (ელექტრონული) – PDF ფაილის სახით;

5.2. საჭიროების შემთხვევაში ესკიზი უნდა შეთანხმდეს უფლებამოსილ ორგანოში შესაბამისი მოთხოვნების გათვალისწინებით;

5.3. მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხარისხიანად და კვალიფიციურად;

5.4. მომსახურების განხორციელების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 კალენდარული დღე.

6. გარანტია

არ ვრცელდება.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღლო სტანდარტული.

7.2. დამკვეთი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს შემსრულებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურება ეტაპობრივად, მომსახურების გაწევის შემდეგ 20 კალენდარული დღის განმავლობაში კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე.

8. ფასები

ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასის გაზრდა დაუშვებელია, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა.

9. ხელშეკრულების შესრულების გარანტია.

9.1. არ გამოიყენება.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

10.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მოემსახუროს შემსყიდველს ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

10.2 მიმწოდებლის მიერ ანაზღაურებისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაცია შესაბამისობაში უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის (მომსახურების) მიმართებაში.

10.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

10.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.5 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე გასაწევი მომსახურების ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

10.6 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა გასაწევი მომსახურების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა.

11.1 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

11.2 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.3 შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1 მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების გადაწყვეტა მოხდება სასამართლოს გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2 თუ მიმწოდებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების

განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადავო საკითხების განხილვა განხორციელდება საარბიტრაჟო გარჩევის გზით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაეროს საარბიტრაჟო კომისიის წესების შესაბამისად.

13. დამატებითი პირობები

13.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

13.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

13.3. მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

13.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ მოხდა საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

13.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

13.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ოთხ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება „შემსყიდველთან“ და „მიმწოდებელთან“.

13.7. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის
დირექტორის მოადგილე


ოთარ დჯანელია



შ.პ.ს. "A&D Studio"-ს
დირექტორი


მაია ალამია

